137/4 ✓ 4375

სასიცოცხლო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 8

დამატების № 3

კვირა, 15 ივნისი 1914 წ.



გრ. ორბელიანის ძეგლის მოდელი—მექანდაკე იაკობ ნიკოლაძისა.

სხვის მაგივრად

ყვავილ-ვარდებს მისთვის გიძღვნი,
რომ გეტრფი და რომ მიყვარხარ,
საამქვეყნო ნეტარებავ,
გულს მიზიხარ, სულში მყავხარ!

—

ნუ, ნუ მკითხავ რად მიყვარხარ,
რისთვის გიძღვნი ვარდ-ყვავილებს—
იმიტომ, რომ ზეციერო,
შენ არ გევხარ მიწის შვილებს.

—

შენ სულ სხვა ხარ, მშვენიერო,
სულ სხვა ვინმე, სულ სხვა რამე
და მიტომაც შენი ეშხი
არ მასვენებს დღე, არც ღამე.

—

ყვავილ-ვარდებს მისთვის გიძღვნი
ჩემის ცრემლით დანამულსა,
რომ მით ახსნა გამოცანა—
რა ცეცხლი სწვავს ამ ჩემს გულსა.

—

და თუ ახსნი, იქნებ მაშინ
შემიბრალო ჩემო ღმერთო,
ჩემს ზეციურს წმინდა გრძნობას
შენი გრძნობაც შეუერთო.

—

მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ
თავს დავსახავ ბედნიერად,
სხვას არას გთხოვ მე ბედკრული
—მიგულებდე ფერხთა მტვერად!..

—

ნუ გაფიქრებს თმა ჭაღარა,
ნუ შესცქერი იჭვის თვალით,
მენდე, გული მარად გულობს
აღზნებული ტრფობის ალით!..

რუს-იმერელი.

MAMICA

(ძღვნად მ. დ—იანის ასულს)

მარწყვის ტუჩი, ფიფქის ღაწვი ცელქ ღიმილსა გაუგმირავს,
ანარეკლი გიშრის თვალთა—წამწამთა ტევრს დაუძირავს,—
მარგალიტის კბილთა ჯაჭვი, მარგალიტის კბილთა მძივი:
იფანტება სხივთა ოქროდ და გამოკრთის ელვა ცივი.
კდემაშლილი ძოწის ბაგე მზის სიტყვებსა ისე უბნობს:
ანდამატის ხმათა ჩქერი—ისე ჰხვდება თვით მკერდს უგრძნობს—
რომ ქვასაც კი გულს აუნთებს, რომ ქვასაც კი გულს დაუდნობს,
ცეცხლით დასწვავს შორეულსა, მაგრამ არ კი თანაუგრძნობს!..

ბროლის ყელსა კოცნით ჰქურდავს—წაბლისფერი ზილფი თმისა,
მკერდს დასცურავს ტალღა წყვილი—სახე გრძნეულ გულის თქმისა,—
თხელ ქსოვილის სამოსელში ისე სხლტება ნაკვთი სარო—
როგორც სიმზე მგოსნის ცრემლი, ვით მზის რტოზე ნისლის წყარო.
თითნი თლილნი, გამსჭვირვალნი—შეამკობენ მკლავთ—ჩინართა,—
მკლავნი მშვილდად მონაზიდნი ისართ სთოვენ უჩინართა,
ტანი სცურავს სხივ-ნაკადში ტანი ლერწმობს გრძნეულებით
და იმსჭვალვის აშიკთ გული გამოუცნობ სნეულებით!..

* *

გიხილე და სახე შენი ჩემს ხსოვნაში შემოცურდა:
მიყუჩებულ სულის ზღვაში ტრფობის ზვირთი ახმაურდა,
ხავს მოდებულ გულის სიმებს მოჰხვდა წკირა უხილავი—
ალბად გრძნობამ ღმერთი ჰპოვა და ძიებამ თვის ვარსკვლავი!..
შენ ხარ სიზმრის მეგობარი თვალთა კიდით მესვრი ნათელს—
შორით გეტრფი სულის ღელვით ⁄ შენთვის ვწვავ გულის სანთელს!..

მე ოცნებაც მასულდგმულებს, სინამდვილე არად მინდა,
და მსურს შევქმნა უკვდავ დროსთვის მაგ ხატების ლოცვა წმინდა!—
მაგრამ თუ კი ზურგს შემაქცევ და მომაკლებ სხივთა ციალს:
შენსა მიმართ ეკლის ლექსით ზიზღს გადავცემ დროთა ტრიალს!—
რომ ოდესაც გაიხსენონ სახე შენი—ტურფა, ამო,
მას აჩრდილად თანა სდევდეს მგოსნის წყევლა სამუდამო!..

ს. ფაშალიშვილი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ბ-კა
ბიბლ. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. გალმონტის ლექსები

გულის სიბრძნე

არ გინახავს, თუ ვით ოხრავს ყვავილთ შორის ნიავ-ქარი?
ის მათ ჰკოცნის, ნელა არხევს აგზნებული და დამტკბარი.

არ გინახავს ტალღა რარიგ ცისფერ ლოტოსს უალერსებს?
იგი რარიგ მას შეჰფრფინავს ეხვევა და გარს წრეს ავლებს!

არ გინახავს ცის ვარსკვლავი მოციმციმე, ეთერმკრთალი?
მასთან ერთად, მის წინაშე რარიგ სუნთქავს ბინდზე წყალი?

აქ სიბრძნეა, ნეტარება—იზიდავდე, გიზიდავდეს,
მას აგზნებდე და იმავ დროს სული შენი თვით ბრწყინავდეს.

გაიტაცო, გაგიტაცოს,—ვუხმობ ჩემის გულის სიბრძნეს.
ჩემს სულს ძალუძს ასე რიგად—ყველას,—მეტად მრავალს მისწვდეს!

***

მიჰქრის ცხოვრება—სიზმარი კი რჩება გზნებული.
თავსა ვგრძნობ კარგად! ამ ჟამად ვარ შეყვარებული!

ცხოვრება მიჰქრის—ზღაპარი კი რჩება ფრთოსანი.
თავსა ვგრძნობ კარგად! სულის მეფე, ვარ მე მგოსანი!

წუთისოფელი გვევლინება ჩვენ შემხუთავად.
ხოლო ჩემს სულში ყოველივე იშლება ახლად.

თავსა ვგრძნობ კარგად! თავსა ვგრძნობ კარგად!

სანდრო შანშიაშვილი.

† **მელიტონ გოგბეჩია**, გარდაიცვალა წელს ივნისში ხარკოვის საკატორღო ციხეში.

მეგობარს

დეე, ჰფარავდეს არეს წყვდიადი,
დე, ზღვა მრისხანე ჰქუხდეს, ჰყვიროდეს,
დე, გლოვის ზარი მეფობდეს ველად,
ზეცა ცრემლს ღვრიდეს, ზეცა სტიროდეს;
დე, საზარის ხმით, სევდის მომგვრელად,
ბედის ყორანი თავს დაგვჩხაოდეს,
დეე, ჰყინავდეს სუსხი სამყაროს,
ტურფა წალკოტიც აღარ ჰყვაოდეს;
დეე, სიკვდილის შავი აჩრდილი
ბნელ არემარეს თავს ევლებოდეს,
თვით მიწაც ჰკვნესდეს, მიწა გმინავდეს,
შავბნელ წყვდიადის შიშით კრთებოდეს...
ჩვენ ნუ შევდრკებით, ნუ მეგობარო,
ნუ შეგვაშინებს წყვდიადი ბნელი,
ჩვენ წინ ვიდოდეთ, წინ მომავლისკენ,
გამიხსენ გრძნობა, მომეცი ხელი...

—

დეე, ჰფარავდეს არეს წყვდიადი,
....მზე ხომ კვლავ სცოცხლობს, ამოვა ჩქარა,
დაფლეთს, დაჰგლეჯავს წყვდიადის ღრუბლებს
და განათლდება ცისა კამარა;
მზე თავის სხივებს მოჰფენს მიდამოს,
აათამაშებს სხივებთა ელვას,
ცა გაუღიმებს არეს მხიარულს
და მრისხანე ზღვაც შესწყვეტავს ღელავს;
გლოვისა ზარი დაუთმობს ადგილს
აკორდს ზეციურს, ტკბილ სიმთა ჟღერას,
წალკოტი-ბაღი კვლავ აყვავდება
და შიგ ბულბული იწყებს სიმღერას...

—

მაშ, ნუ შევდრკებით, ნუ მეგობარო, გულში აღვანთოთ ცეცხლი ციური
და ცხოველმყოფელ კოცონზე დავსწვათ ტანჯვა-წვალება ამ ქვეყნიური.

ი. ვადაჭკორია.

ქარიშხალი

დიდი ხნის დალაგებული, ერთ-გვარად მოწყობილი ცხოვრება უცბად აიმღვრა. გარემო შიშით, სიკვდილით და აკლების მოლოდინით გაივსო და ღარიბ თავადის ოჯახში არაჩვეულებრივი აღელვება, მოძრაობა და მზრუნველობა დატრიალდა. ყველა ჰმუშაობდა: თითონ თავადი დიმიტრი, კნეინა თებრო, შვიდი წლის თამარა, გასათხოვარი ანო. ყველას გაუგებრობა, თავ-დავიწყება და არეულობა ეტყობოდა, მაგრამ გულის ძირში ყველას თითქოს ეცინებოდა კიდეც, ეცინებოდა იმიტომ, რომ ახალი მდგომარეობა საკომიკოსა ჰგავდა. თითქოს მოსწონდათ კიდეც, რომ აქამდის თითქმის უსაქმოდ მყოფთ, ეხლა რაღაცა გარეგანმა ძალა დაატანა და აამუშავა. ამიტომ ყველა გაფაციცებით ჰსაქმობდა, ყველა ერთმანეთს ფეხებში ედებოდა და ამ საქმეს, რასაც წინედ ერთი მოჯამაგირე ერთ საათს უნდებოდა, ეხლა ეს ამოდენა მოფაცურე ხალხი ნახევარ დღეს ახმარებდა. მაგრამ ყველას ეგონა, თითქოს ეს მოძრაობა, ეს სიარული, კარებების წამ-და-უწუმ გაღებ-მიხურვა, საბელ-ბოსელში გახშირებული სიარული, გადამეტებულია, არ საჭიროო. თითქოს შეიძლებოდა უფრო მშვიდად, ნაკლები მოძრაობით გაკეთებულიყო ის საქმე, რომელიც ოჯახში მუდამ იყო, მაგრამ ასეთი რამ ეკი �ოდეს გამოუწვევია. დიმიტრი ამ მოძრაობას რომ უცქერდა უკვირდა, ეშინოდა, მაგრამ თითქოს ეცინებოდა კიდეც.

მის წინ ანამ გაირბინა. ხელში თეფში ეჭირა და დედასთან მიდიოდა. თვალებში შიში ედგა, სახე გაბრწყინებული ჰქონდა. მამას ალმაცერად გაჰხედა და ერთი კარებიდან მეორეში სწრაფად გაძვრა. დიმიტრიმ შეჰხედა ამ მოძრაობას, იცოდა მისი სულიერი სათავე, იგი ისეთივე იყო, როგორც დიმიტრის სულის ახლანდელი სურათი, იცოდა ეს, მაგრამ მაინც ვერა გაეგო რა.

— რა საჭიროა ასეთი ციებ-ცხელებიანი მოძრაობა? რა გამოდის ამით? აი, ანოს რად დაეჭირნა ორივე ხელით თეფში, გულზე

კ. მაყაშვილი.
(მის თხზულებათა გამოცემის გამო)

რად მიეკრა და გაბრწყინვალებული სახით, დედასთან რად გარბოდა?—გაიფიქრა დიმიტრიმ:—ან რადა აქვს ასე გაბრწყინვალებული სახე. იქ რა იხატება? შიში თუ სიხარული? რა მოჰხდა საიმისო? რამ აგვაღელვა? არ უნდათ მუშაობა, მოჯამაგირობა და ღმერთმა

ᲠᲔᲜᲔ ᲕᲘᲕᲘᲐᲜᲘ.
საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ახალი
პრემიერი.

ხელი მოუმართოთ! ჩვენც კარგად გავუძღვებით საქმეს. მაშ ასე შეშლილებივით რად დავრბივართ?"—ჰფიქრობდა დიმიტრი. ისიც კი ეგონა, რომ ანომ თეფში ტყუილად წაიღო სათონეში: ეხლა ეს თეფში არავისთვისაა საჭირო. მაგრამ დიმიტრი უფრო შვილის ძალიან ალმა-ცერად გადმოხედვამ დააფიქრა. რა იყო ამ გადმოხედვაში დაფარული. ან რატომ პირდაპირ არ შეჰხედა, თუ კი შეხედვა უნდოდა?—გაიფიქრა დიმიტრიმ და ამ გადმოხედვაში მან დაინახა: შიში, მისდამი წყენა, გამტყუნება, თითქოს ის იყო დამნაშავე ამ არეულობისა.

ეს სამი დღეა, რაც სოფელში გაფიცვა გამოცხადდა და თავად დიმიტრის ოჯახს მოჯამაგირენი ჩამოჰშორდნენ. ამ სამ დღეში ოჯ ᲧᲘ თავდაყირა დადგა: კნეინა ჰბრაზობდა. ანო ჰთრთოდა, თამარა იცინოდა, მოხუცი კნეინა, დიმიტრისა, რაღაცას ჰბუტბუტებდა, ხოლო თითონ თავადს კი თავი ვერ გაერთვა მომდგარ გრძნობათა და აზრებისათვის, ოთახში უხეიროდ დაჰყიალებდა, მოსაქმე ცოლშვილს ფეხებში ედებოდა და უჩვეულო ხელით აღებულ ჭურჭელს ამტვრევდა. ყველა მოჯამაგირე ერთბაშად წავიდა. მეძროხე სოლომ სალამიც კი არ მიჰსცა, ისე გაიპარა, პურის მცხობელი დედაკაცი მართა კნეინასთან შევიდა და მოახსენა:

— აი, კნეინა! მოგახსენებენ, ეხლა ერთობა ჩამოვარდა და ყველამ თავისთვის უნდა იმუშავოსო. მოჯამაგირე აღარავის უნდა ჰყავდესო. პურიც თითონ გამოაცხონ და წყალიც თითონ ჰზიდონო, ძროხასა და ღორსაც თითონ მოუარონო. ეხლა ჩვენც გავიგეთ ყველაფერიო.

— რა გავიგეთო?—ჰკითხა გაწიწმატებულმა კნეინამ.—

— რა მოგახსენოთ! აგრე მოგახსენებენ: ჩვენც გავიგეთ ყველაფერიო. უკაცრავად კნეინავ, მეც უნდა გიახლოთ. ამდენი ხანია თქვენი პური მიცხვია, კი არ მემეტებით, მაგრამ ასე ჰბრძანესო და უნდა წავიდე.

— ვინა ჰბრძანაო!—თავ-შემაგრებით ჰკითხა გაბრაზებულმა კნეინამ.

— რა მოგახსენო, ასე ჰბრძანესო.

— გადირია ხალხი! შეაჩვენოს ღმერთმა—შეჰსძახა დიმიტრიმ.

— მართალს ჰბრძანებ, კნიაზო, მართალსა!—უპასუხა მართამ:— ვერა გამიგია რა! ღმერთი აღარ გვინდაო, ხელმწიფესა და ბატონს სამსახური აღარ ერგებათო! თქვენი რისხვა არა მქონდეს, ვერა გამიგია რა—სთქვა მართამ და ბუტბუტით გავიდა ოთახიდან, თითქოს ამ ბუტბუტით უნდა გაიგოს ის, რაც ვერ გაუგიაო; თითქოს ანგარიშს უწევდა ახალს.

ასე დაიწყო ეს ახალი, თავ-გზა აწეწილი, აროდეს ნახული, არ გაგონილი ცხოვრება და არავინ იცოდა როდემდის იქნებოდა ეს ნერვებ აშლილი, საშიში და საკომიკო მდგომარეობა, სადაც კაცი ყველაფერს ჰხედავდა, ყველაფერს ისმენდა და ჰგრძნობდა, მაგრამ გაგებით კი ვერა გაეგო რა. ჯერ ხანად კი ერთი რამ ისმოდა: მკვლელობა, ცარცვა, ცეცხლი, ჩეხა.

საღამოობით, როდესაც ქვეყანას მაისის გრილი, მშვიდი, მთვარიანი ბინდი გადაეკვროდა ხოლმე, დიმიტრი დერეფანში დადგებოდა ხოლმე და მიდამოს გასცქეროდა. ნერვებ აშლილობა ბუნებასაც ეტყობოდა. წუთს ჩუმი ხეებით ნიავის ქროლვით აშრიალდებოდა ხოლმე და წუთსვე ჩუმდებოდა. ძაღლებიც კი გაყუჩებულიყვნენ თითქოს იმათაც სიკვდილისა ეშინიანთო, იმალებოდნენ ჩუმათ იყვნენ და ყეფით არავის ამცნობდნენ თავიანთ არსებობას. თავადის გულში მოუსვენრობა ძლიერდებოდა. დიმიტრი გასცქეროდა იმ მიდამოს, რომლის წიაღშიაც დაიბადა, გაიზარდა, იცხოვრა, 55 წელი გაატარა, გაჰსცქეროდა და დღის გაუგებრობა ძლიერდებოდა. აქ, ამ მიდამოს ჰბატონობდა ოდესღაც ძლიერნი მისი მამა-პაპანი, იმათი იყო ეს სოფელი; ეს გლეხები იმათა ჰყმობდნენ! მისი წინაპრებისა სოფელს ეშინოდა, პატივსა ჰსცემდა, ემსახურებოდა, ფეხის გულებს უზელდა და დღეს კი, დიმიტრის ოჯახს, შვილს ოდესღაც დიდი გვარისას, რიღაცისა ეშინოდა, რაღაცას ეკრძალებოდა. თავის გარშემო შექმნილ ატმოსფერას დიმიტრი ყურს უგდებდა, ღონდებოდა, ოხრავდა! მაგრამ საკვირველი იყო: ის გრძნობა, რომელიც დღისით თავს იჩენდა ხოლმე, ღამ-ღამობით კი თავის ადგილს სრულს შიშ უთმობდა. ეს გრძნობა იყო, სიცილის გრძნობა, გულის ძირში რომ უღიტინებდა. და ეტყობოდა, ეს ღიტინი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა, რადგანაც მათი მოძრაობა ნერვიანი იყო, მოღიმარი, მაგრამ საშიში, ალერსიანი, მაგრამ—ბრაზიანი. თითონ დიმიტრიც გაბრაზებული იყო, მაგრამ ყველას: დედას, ცოლს, შვილს, ალერსით ექცეოდა, თითქოს ეშინოდა, არავის ვაწყენინო რამე, თორემ ვინმე მათგანი კეტს დამარტყავს თავშიო. დაკვირვებული დიმიტრი კარგად ჰხედავდა, რომ ყველას ასეთივე გრძნობა ჰქონდა, ყველა ჰბრაზობდა, მაგრამ ყველა ალერსიანობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მამას შვილისა ეშინოდა, ქმარს ცოლისა, დას—დისა და ყველას ერთმანეთისა. ამიტომ იყო, რომ ყველა ღიმილით ჰლაპარაკობდა, ყველა ერთმანეთს უალერსებდა, ეხუმრებოდა, თითქოს მხოლოდ იმიტომ რომ ერთმანეთის ისედაც ნატკენ გულს უარესად არაფერი ვატკინოთო. და საკვირველი ერთი რამ იყო: ამ უცნაურმა მდგომარეობამ, ამ გაფიცვამ, შიშმა და მოკანკალე საქმიანობამ შეჰქმნა ის, რაც ეკლდა წარსულს, შედარებით მშვიდ ცხოვრებას. ეს იყო მჭიდრო კავშირი ოჯახის წევრთა, კავშირი ალერსიანი და სიყვარულით გამთბარი, უცნაური, მაგრამ სასიამოვნო და მამოძრავებელი. თითქოს მხოლოდ ეხლა, როდესაც ინსტიტუტ გათავებულმა ანომ—რომელმაც აქამდის ჩაის გაკეთებაც კი არ იცოდა,—ჭურჭლის რეცხვა დაიწყო, როდესაც განებივრებული კნეინა თებრო თონეში ჩაეყუდა და მოქეიფე დიმიტრიმ ბოსელი დაჰხვეტა—მხოლოდ ეხლა გაჩნდა ოჯახი, ტკბილი სიტყვა, თბილი კერა, და სწორედ ეს იყო საამური. წინედ, როდესაც ცხოვრება მშვიდი იყო, ნერვები დალაგებული, ოჯახს ეს სიტკბოება ეკლდა. მაშინ ყველა უკმაყოფილო იყო, ყველა ჰგრძნობდა ღარიბ ცხოვრების სუსხს, ყველას ჩუმი, უჩინარი ნაღველი ეწვა გულზე, ნაღველი წარსულ ფუფუნებისა, კმაყოფილებისა და ახლანდელ სიღარიბისა და ნაკლებულებისა.

დიმიტრის აგონდებოდა ხოლმე თავისი მამა, თავადი ესტატე: მძიმე, დარბაისელი, წვერ-მოპარსული და დიდ-ულვაშა. მას მუდამ

გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი **ᲰᲣᲒᲝ ᲨᲣᲮᲐᲠᲗᲘ**
(მისი მოღვაწეობის **50** წლის შესრულების გამო)

აბრეშუმის კაბა ეცვა ხოლმე, თვალები გადმოკარკლული ჰქონდა და გლეხებს მისი ეშინოდათ. რა მოუვიდოდა იმ განებივრებულს, სხვათა დამორჩილების ჩვეულს, ეხლა რომ ცოცხალი იყოს!? დიმიტრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად ახსოვდა მამა და მისი ცხოვრება, და ეხლა რომ იგონებდა, არ იცოდა, შეჰშურებოდა თუ არა. მხოლოდ უკვირდა მთელი ცხოვრება მამისა და თავისი ცხოვრების დასაწყისი.

— იქნებ მართალიც იყოს ხალხი თუ ბედი! განუწყვეტელს ქეიფს სადმე უნდა ჰქონოდა ბოლო. ამდენს აღმართს ერთი დაღმართიც ექნებაო, ნათქვამია, და, აი, ეს დაღმართი ეხლა მოვიდა. ამ დაღმართზე დაეშვება ჩვენი გვარი და, ერიჰაა!.. წადი, სდიე ბიჭო! ვიღა დაუჭერს თავს? არავინ ისე, როგორც არავინ იყო თავის დამჭერი მაშინ, როდესაც მის მამას და ერთ დროს თითონ დიმიტრისაც, ერთი სტუმრის ერთი „კარგი“ სადილი ოცი—ოც-და-ათი თუმანი უჯდებოდათ. კარგად ახსოვს მაშინდელი სუფრა: თეთრი, გრძელი, ათასნაირ საჭმელებით სავსე, ვერცხლით ბრწყინვალე. რა იქნა ყველა ეს? ვთქვათ გასატეხი გატყდა, შესაჭმელი შეიჭამა, მაგრამ რა იქნა ვერცხლეულობა, ის ჩუქურთმიანი აზარ-ფეშანი, კულები, ყანწები, მძიმე კოვზები, სინები? დიდი ხანია დიმიტრიმ აღარ იცის რა იქნა. სათითაოდ, ნელნელა გამოეცალა ხელიდან ყველაფერი, შეუმჩნევლად დაიკარგა. ათობით მოახლენი მუდამ თავს ედგნენ, ეხლა კი სოფლისათვის აუცილებელი სამი მოჯამაგირეც კი წაართვეს და მოჰხდა ის, რაც მის გვარში აროდეს მომხდარა, რაც წინედ შეიძლება გვარის დამამცირებელიც იყო: კნეინა სარეცხსა ჰრეცხდა, კნიაჟნები ნახშირში ხელებს ურევდნენ. განა წინედ კი არ უმუშავნიათ, მუდამ აკეთებდნენ რაც შეეძლოთ, მაგრამ ასეთ დამამცირებლად არ ეჩვენებოდათ.

მოძრაობის დასაწყისში, პირველ-ხანად, თავადი დიმიტრი ეშხს არ იტეხდა: ძველი, ძლიერი დიდებული ცოტა კიდევ შეჰრჩენოდა მის სულს და ასე ეგონა ახალ ამბებს, ახალ მოძრაობას ჩემთან ხელი არა აქვსო, მაგრამ როცა მოჯამაგირენი ჩამოაცალეს, იგრძნო ძალა ახლისა. მხოლოდ ეხლა დაუკვირდა წარსულსა და აწმყოს, მხოლოდ ეხლა მიჰხვდა, რომ ყველაფერს, რაც კი მის გარშემო ჰხდებოდა, თავისი ღრმა და აუცილებელი სათავე ჰქონდა. ხანდისხან ისიც ეგონა, ვითომ ამ სათავეში მეცა ვდგეევარო, მაგრამ როგორ და რა გზით უნდა მდგარიყო, ეს კი აღარ იცოდა. ამ რიგად თავში ყველაფერი ერეოდა ფიქრით დაღლილი, მომდგარ გრძნობებით დაქანცული სახლის ფანჯრებს შეჰხედავდა ხოლმე. ფანჯრებს იქით, ოჯახს ეძინა, მაგრამ ეს ძილი წინანდებურ ძილს არა ჰგაგდა: ჰატარა თამარაც კი, რომელსაც არა ესმოდა რა, რაღაცასა ჰგრძნობდა, ბავშურ გულს ძილში აოხრებდა, მოუსვენრად იყო და წარა-მარა ჰბრუნავდა, თითქოს მოხერხებულად ვერა წევსო. კნეინა და ანო მალ-მალ იღვიძებდნენ, ჰბრუნავდნენ და სიცხით შეწუხებულნი ბალიშებს ისწორებდნენ. ახალმა დრომ ოჯახს საძილე ადგილიც კი დაუკარგა და აურია. აქამდის, გაზაფხულ-ზაფხულობით, ყველას გარედ ეძინა ხოლმე, ეხლა კი შიშით მთელი ოჯახი ერთ ოთახში შეკრებილიყო და სიცხით იწოდა.

დიმიტრი ოთახში ფრთხილად შეიპარებოდა ხოლმე, კედლიდან თავის ორ-ლულა თოფს ჩამოიღებდა, გაჰსინჯავდა, მასრებს დაუცვლიდა, თავით იდებდა და საძილედ ემზადებოდა. ტანისამოს გახდა არ უნდოდა ხოლმე, ყოველ შემთხვევისათვის საჭირო იყო ტანთ გაუხდელობა, მაგრამ მაინც გაიხდიდა ხოლმე, ეს უფრო მეტ გულადობას აძლევდა, რადგანაც ტანთ-გახდილობა ნიშანი იყო დამშვიდებულ, უშიშარ ცხოვრებისა. ამასთანავე ეშინოდა: ჩაცმულმა რომ დავიძინო, ოჯახი უფრო შეშინდებაო და როცა წვებოდა, მხოლოდ ერთი რამ ჰსურდა: დილაზე ყველანი ცოცხლები ავდგეთო, თუმცა დარწმუნებული იყო ერთხელაც არის, იქნება ისეთი დილა, როდესაც ვეღარ ავდგებითო. დღეს თუ ხვალ, მოვლენ „ისინი“, ვინც სოფლად დადიან, რაღაცეებს ჰლაპარაკობენ და თან სიკვდილი დააქვთ; მოვლენ, ყველას დაჰხოცვენ, ყელებს დასჭრიან, შეიძლება ქალებს ნამუსიც კი აჰხადონ. თითქოს შეურიგდა კიდეც ამ აზრს, მაგრამ მაინც არ ეჯერებოდა. ჰსურდა მხოლოდ, რომ თუ დახოცვა იქნება, ყველა ერთად დაგვხოცონ, ოღონდ უმეტესად ნურავინ დაიტანჯება, ნურავის ცრემლი დაიღვრებაო. და როცა მისი ფათურით გაღვიძებულ დედას, ცოლს და ქალს შეჰხედავდა ხოლმე, მათს თვალებში შიშსა ჰხედავდა და იმავე საერთო სიკვდილის სურვილს ჰკითხულობდა „დაგვხოცევენ, აგვაოხრებენ“—უსიტყვოდ ამბობდა მითი თვალები. აშკარა იყო, რომ გატენილი თოფის იმედი აღარავის ჰქონდა და ხსნა არსაით იყო.

— ღმერთო, დილა მშვიდობით გაგვითენე! ჰბუტბუტებდა მოხუცი დედა.

დღისით კიდევ არაფერი. მაშინ საქმიანობაში იყვნენ ხოლმე გართულნი და მზის სინათლეც შიშს თითქოს ჰფანტავდა, მაგრამ ღამე იყო ძნელი, ღამე ბნელი, შავი, საიდუმლო, ახლანდელ ცხოვრებასავით საიდუმლო; თითქოს მის სიშავეში ჰმარხია გასაგებად ძნელი მომავალი ხალხისაო. ღამე იღვიძებდა ფიქრი, ფიქრი წარსულისა, აწმყოსი, და სიკვდილისა. მომავალი კი აღარ იყო, იგი გაჰქრა და მისი ალაგი სიკვდილმა დაიპყრო. დიმიტრი ნელა წვებოდა იმ ფიქრით, რომ ხვალინდელი დღე ძნელად თუ გაგვითენდესო. ხანდისხან იფიქრებდა ხოლმე, ცოლშვილი ქალაქს გადავასახლოვო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: მისი სარჩო-საბადებელი უპატრონოდ დარჩებოდა და ერთს საათში გაანიავ-წყალებდნენ, მერე, ხომ, სულ ერთი იყო, იქნებოდნენ ცოცხალნი თუ არა; მეორეც ისა, რომ წასვლა სოფლიდან, მგზავრობა სახიფათო იყო, გზაში გაქცეულებს უფრო ადვილად დაგვხოცავენო, იფიქრებდა ხოლმე დიმიტრი და როცა თვალებ დახუჭულ ცოლ-შვილს უცქერდა, ხანდისხან ჰგრძნობდა, რომ იმათ სიცოცხლეზედაც და ბედნიერებაზედაც უკვე ხელი აუღიათ და ბედს შეჰრიგებიან, თითქოს მათთვის სულ ერთი გამხდარა, დაჰხოცავდნენ მათ თუ არა. ეს თითქმის ამშვიდებდა დიმიტრის და ერთი ნახევარ საათით წაჰსთვლემდა ხოლმე, მაგრამ ისევ მალე ეღვიძებოდა და თავი ისევ იმ საშინელ, დამღალავ აზრებით ევსებოდა.

გაივლიდა ხოლმე ღამე, თენდებოდა დილა მზიანი, მხიარული, გული ცოტას მშვიდდებოდა და კვლავ იწყებოდა ნერვებ აშლილი, აჩქარებული, არ საჭირო მოძრაობა და გულის ღიტინი.

ი. ტატიშვილი.

(დასასრული იქნება).



ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა უკანასკნელი კრებების „გმირი“.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**